

1926 ח.פ.ח.
החברה להוצאת ספרים

10

החיים והמחשבה



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სტალინი—სურათი	1
2. ოქტომბერი—ლექსი—კ. ლორთქიფანიძისა	2
3. 25 ოქტომბერი—ერგმორისა	4
4. პატარა ოქტომბრელების სიმღერა—ლექსი—№	7
5. ამხანაგები—ე. პოლუმორდვინოვისა.	9
6. ოთხი თაობა	18
7. ორი თრითინა—(დასასრული), თარგმ. ქ. ჭიჭინაძისა.	19
8. ოქტომბრელები—ლექსი	24
9. დიდი დათვი—ინსცენირობა.	25
10. როგორ აცხოვენ ქარხანაში ჰურს	28
11. ბავშთა შემოქმედება: ოქტომბრის დღილა—გ. გა- ბუნიასი.	30
თამაშობანი—ყდაზე.	



საქართველოს
საბჭოთაო
კომუნისტური
პარტია


გე-XXII წ. № 10 ოქტომბერი 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ.
ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. უფრნალი ბავშვობათვის.

F/1980



სტალინი—ი. ჯულაშვილი.



ოქტომბერი.

ვიმ, რა დილაა ელვანუ,
გულინა მასწავლებელი,
ოცდასუთია ოქტომბრის,
მონობის დამამსობელი.

გვეჩვენებ, გვეთამაშებ
თმებაქაწილი ქარია...
მოგვაქვს წითელი დროშები,
მოედევართ, მოგვიხარია.



ეკელანი სასლებს სტოვებენ,
 ხალხით აივსო ქუჩები.
 „საღამი წითელ ოქტომბერს“,
 შეიძით მართულ ბუშების.

სმაძეწუობილი ვძღვრებართ
 ხვენ—მოძაუალი მშრომელნი,
 წითელი ოქტომბერია,
 ბედნიერების მომკვრელი.

გვესვევა, გვეთაძაძება
 თმებაქონრილი ქარია.
 მოგვაქვს წითელი დროშები,
 მოვდივართ, მოგვისარია.

კ. ლორთქიფანიძე.



25 ოქტომბერი

ღღეს ცხნა წველიწადი შუესრულდა ოქტომბერში მომ-
სდარ კადატრიალებს, რეკოლუციას, და მთელი შშრომელი
სალსი დიდი სეიმითა და აღტაცებით იკონებს ამ რიცხვს.

ნორჩმა თაობამ კარკად უნდა იცოდეს, თუ რათ ვსვდებით
მას სისარულით, ან რით დამისახუნა მან ასეთი სიეუარული?!

25 ოქტომბერი არის სასვლანი ძველი და ახალი ცხოვრების.
ამ დღეს უარყოფილ იქნა უოფილი უბედური ანსებობა და
სწორედ ამჯე დღეს დაიწყო აღმოცენება ახალმა, სამართლიანმა
და ხალსთა ერთმანეთისადმი სიეუარულით სავსე ცხოვრებამ.

1917 წლის ოქტომბრამდე რუსეთის ფაბრიკები და ქარს-
ნები ეკუთვნოდა ერთ შუჭა მდიდრებს, მექარსნეებს, ადგილ-მა-
შულები კი მეშაშულებების სელში იყო.

შუშებსა და კლესებს არ ჰქონდათ არც ფაბრიკები, არც
ქარსნები და არც მიწა, რაც მისცემდა მათ საშუალებას მოე-
ზოეებინათ სასრდო ანსებობისათვის.

და, აი, რომ შიძლილით არ მოკვდარიევენ, ისინი იშულე-
ბული იეკენ დაქირავებოდენ მდიდრებს, ებუშავათ მათ მიწებსე.

ისინი შუშაობდენ დღეში 12 და ხშირად 16 საათსაც. მათ
მიერ დაბუშავებულ სურსათს მდიდარი მექარსნეები იღებდენ,
ჰეიდდენ და შუშებს კი ხანგრძლივ და მძიმე შრომაში აძლე-
დენ ძლიერ მცირე სელფასს, რაც მათ ჰურის ფულადაც არ
ჰეოფნიდათ.

ამრიკად კაპიტალისტები თუითონ არაფერს არ აკეთებდენ,
მაგრამ სხვისი შრომის წეალობით მდიდრდებოდენ...

ასე იყო 25 ოქტომბრამდე, მაგრამ ამ დღეს შუშები დ-
კლესები აჯანუდენ, ფაბრიკანტებს ხამოართვენ ფაბრიკა-ქარს-



25 ოქტომბერი

ნები, შემამულეებს მიწები და მთელი სახელმწიფოს სათავეში ჩააყენეს თავიანთი მუშურ-გლეხური მთაწობა; აი, ამას ჰქვია რევოლუცია და ოქტომბრისას კი იმიტომ უძახიან, რომ ოქტომბერში მოხდა.

ასედა მშრომელი ხალხი მუშაობს მხოლოდ თავისთვის და მისკანვე შექმნილი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის, ამასთანავე ერთად მას არაფერ არ სწავრავს, გადაშტეტებული შრომით არაფერ არ აწვადებს და არაფერ არ სუქდება მისი შრომით...

რით შესძლეს მუშებმა და გლეხებმა გამარჯვება თავიანთ ბრძოლაში?.. რით შესძლეს მათ დამარცხება იმ მდიდარი ხალხისა, რომლის ხელშიც იყო მთელი ძალა-უფლება?..

იმიტომ, რომ მუშები იუვენს მტკიცედ შეკავშირებულნი და ძლიერნი. იმიტომ, რომ მათ სათავეში უდგა კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა მათ. იმიტომ, რომ აჯანყებულები გამოვიდნენ ერთსულაფნად და ერთი ეკვლასათვის იბრძოდა, ეკვლა — ერთისათვის...

და, აი, ეკვლა ამის შემდეგ უკვე ცხრა წელიწადი მუსრულდა. ამ სნის განძავლობაში ბევრი რამ გააკეთა ხელისუფლებამ მშრომელი ხალხისათვის, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ცოდნა-განვითარების მიცემისათვის.

ამ საერთო საქმეში არ არის უუურადღებოდ დატოვებული ბავშობაც. მრავალი ღონისძიებაა ხმარებული, რომ არ იყოს არც ერთი უსწავლელი, არც ერთი უპატრონო და თბილ კერას მოკლებული.

გასწილია სასწავლებლები, საბავშვო ბაღები, საბავშვო სასალები, დაარსებულია ბავშვთა შესაკავშირებელი ორგანიზაციები, სადაც ისინი ისრდებიან ახალი ცხოვრების სიუვარულით, რომელიც დაამყარა 25 ოქტომბერში.

ერგმორი.



პასარა მასობრილების სიმღერა.

ბან,

ბან,

ბან,

ტრა-ბად-ბან,

ბარბან.

განწით მწუობრად, დანაცით მტერი,
 გზას ვინათებსთ ოქტომბერი.

ვანთ ოქტომბრის ნათლულები,
 მისთვის გვიგერს ჩვენ გულები.

რწმენით სავსე ჩვენი ჯარი
 დანავარდობს, ვით ხანძარი.

ჩვენ ავაფრენთ წითელ მამალს,
 ცაცხლმა უნდა გავკახაროს.

არ დავტოვებთ ჩვენ ნატამალს,
 მთლად გადაუწვავთ ძველ სამუაროს.

ხა-ხა-ხა,

ხა-ხა-ხა.

ბამ,

ტრა-ბად-ბამ,

ტრრ-რრრრ-ტრა-ბად-ბამ.

ჩვენს ღვთისა ფრთიანი—
 ვარსკვლავი სუთკუთისანი.
 ჩვენ ზატარა ვართ ლომები,
 მთელ მსოფლიოს ვუძებთ.
 ჩვენ მიუღივართ დღით და ღამით,
 სითამამით, სითამამით.

ჩვენ ვართ ბევრი,
 როგორც ტვერი.

წინ,

წინ,

წინ,

წინ.

ბამ,

ტრა-ბად-ბამ,

ტრა-ბად-ბად-ბად,

ბად-ბად,

ბამ.

ღვიზია მუდამ ჩვენი,
 რომ წავუბამოთ შია ღვინის.
 შევინაცვლოთ მებრძოლ რიგებს,
 დავემსგავსოთ ბოლშევიკებს.
 ვამბრთებენ უკვლავს ერთი ვაღი:
 დავამარცხოთ კანაიტადი.
 ჩვენ ბურჟუა უკვლავან დაუკეთ,
 ვამბრუვებთ იუოს სავსე.
 ჩვენ ვაუღლებთ ფეს, ბარბანს
 ტრა-ბად-ბან,
 ტრა-ბად-ბან,
 ტრა-ბად-ბად-ბად-ბად,
 ტრა-ბად-ბან.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი.

კათედრა ბურუსით და ღრუბლით მოცული დილა. დანის-
 ლული სინათლე შეიჭრა ფანჯრებში და მძინარე საღმისს კათე-
 ნება ახარა.

კაბელები სერგოსაც.



სერგომ მინახე დასწერა 25 ოქტომბერი.

სერგო ზარბაზნაძე, შეიძლება წელი
 ახლახან შეესრულა. მას უხა-
 რია, რომ უკვე სასწავლებელში
 უნდა იაროს.

წებ-კითხვა ფანჯრის მინებზე
 ისწავლა. ის უოველ დილა
 დგებოდა ადრინადად, დაბორო-
 ქლავდა ხოლმე მინებს და ზედ
 სწერდა ასოებს თითებით, ასან-
 თის ღერით, ხანდახან ცხვირი-
 თაც, ეს მაშინ, როდესაც ბავ-
 შუნად წაიცვალქებდა ხოლმე.

დილაობით სერგო ხედავდა ქალბაქს, სადაც ბევრი, ძლიერ
 ბევრი ძალადი საკვამლე მილი იყო ამართული ცისკენ და
 ამოდინდა ძავი, შეკუმშული ბოლი, და უოველთვის ეკონა,
 რომ რაც ცაზე ღრუბლები იყო დაგროვილი, სულ ამ მილე-
 ბიდან ამოსული კვამლი იყო...

აგებობდა მას ეს სახანაობა.

და მაშინ, როდესაც მინებიდან იცქირებოდა, ხედავდა ავ-
 რეთეე ნიკოს და ვანოს, რომელნიც მასზე ბევრად დიდები იყუ-
 ნენ და სკოლაშიც დადიოდნენ. ისინი უოველდღე იდლიაში აბ-

გამოდებულნი კადიკლიდენ სოღმე ესოს, კადიოდენ ქუხამი და მიდიოდენ მარტონი სასწავლებელში.

სერგომ იცოდა ისიც, რომ ნიკო ძლიერ უოხალი იყო. ის არაფერს არ უშინდებოდა, სძირად მამასთანაც მიდიოდა ქარხანაში და უცქერდა მანქანებს, კრიალა მანქანებს.

ზატარა სერგო შენატროდა ნიკოს.

მასაც სურდა ძაღვ დიდი გამხდარიყო, რომ მარტო შესძლებოდა ეველგან წახვლა და მასავით უშიძარი ეოფილიყო.

დილით რომ ადგა, მაშინვე საწერ მაგიდასთან მიიბრინა და კალენდარს ერთი ფურცელი ჩამოასია.

— დღეს რომელი რიცხვია, სერგო? — მაშინვე შეეკითხა დედა თავის ზატარა ვაჟს, რომელსაც ხვეულებად ჰქონდა ეოველ დილას კალენდრის ფურცლის მოხვევა.

— ოცდახუთი ოქტომბერი, დედა, ოცდახუთი, — უზახუნა სერგომ და მიიბრინა ფანჯარასთან, მიიტანა სკამი და სედ შედგა, მერე მინები დაორთქლა და სახვეწებელი თითით დასწერა: „25 ოქტომბერი“...

მინებში კაისედა და ძლიერ გაუკვირდა, როდესაც შენიშნა, რომ უსარმსართი მიღებებიდან კვამლი არ ამოდებდა.

ეს მას საშინლად ეწეინა; თითქოს რაღაც დააკლეს მის კულსა და თვალებსო. კარგასანს გასცქეროდა ქალაქს, მაგრამ ვერაფერს ვერა ხედავდა.

დღეს ვერც ნიკო ხახა იღლიაში აბგით სკოლაში მიმავალი. ცაზე ღრუბლები დაგროვილიყო, ქალაქს ნაწილობრივად ნისლიც ჩამოსწოლოდა.

უეცრად შორს, მოედანსე, რაღაც ძაღვი, წითელ ტალღებ ნარევი სღვა შენიშნა. იგი ირეოდა და წინ მოიწვედა.

დააკვირდა და კარგახსნის შემდეგ უკვე კარგად გაარკვია მრავლად შეკროვილი ხალხი, სულში წითელი დროშებით.

— დედა, დედა, აბა, აქ მო, მოდი, მოდი აქ, უურუე, უურუ-რე, რა ბევრია, რა ბევრი ხალხია! — აღტაცებით დაიწყო მახილი სერგომ და სელებითაც ანიშებდა დედას, რომ მისუ-ლიყო მასთან, მასაც ეჩახა ეს სურათი...

— რა არის, დედა? მიიხარნი, რა არის?.. რათ მოდიან?.. რა უჭირავთ სულში? ცნობისმოყვარედ შევეკითხა დედას, როდუ-საც ისიც მასთან მივიდა.

დედამისს გაუკვირდა. სახესე განცვიფრების სა-სები დაეძმნა, მერე კი ტებილად უძასუხა:

— ხალხია, შეიღო, ხალხი... სულში დროშები უჭირავთ...

— წაუბლ, რა, ვნახავ. რა კარვია, რა წითელია, რა ბევრია!..

— გაგვკლუტენ, ვერ ვატარა ხარ, არ შეიძლება, უძასუხა დედამ და თავის საქმეებს მიუბრუნდა.

სერგო კი სულ დასცქეროდა ამ სურათს და აღტაცებით ხშირად ტამტსაც შემოატკრავდა სოლმე.

ბოლოს მოსწეინდა შორიდან უურუება.

სამოსტა სკამიდან და ნახა, რომ დედა მუარე ოთახში გასულიყო.



დედა, დედა, აბა, აქ მო.

ამხნის კახანა. მამინვე კავარდა კარეთ და მოედნის-
კენ გემართა.

მიუახლოვდა, ნახა ეკელაფური ასლოდან და ეს ეკელაფუ-
რი კი მას თავსაძრსა სცემდა.

ისმოდან: ევირილი, იარაღის მწრიალი, ღრინაცელი, ხან-
დახან სროლის ხმაც ქალაქის კარე უბნებიდან.



სერგო გოცებელი უკუბრუნდა ხალხს.

მავრამ ძალიან ატებობდა მას ის, რასაც მღეროდა ეს
ძრავალი ხალხი ერთი ხმით, ერთი წუთით.

ეს მისთვის ასალი სიმღერა იყო, სსსსსსსსსს სიმღერა,
იმიტომ, რომ არსად, არსოდეს არ გავკონა.

ატებობდა მას ეს, ასარებდა და უხლოდა თვითონაც კმლე-
რა, კმღერა მათთან ერთად...



ამ დროს მოხიზრდა მხივრე ქუნასე ავტომობილში მისი მეგობარი. მისი მეგობარი, ვაჟები, ბავშვები, ფრიადლებდა დრომე-
ბიც, რომელმაც ზატარა სერგოს თვალი მოიტაცა.

— რა კარგია, რა კარგია ეს! ნეტავი მუდამ ასე იყოს, —
ფიქრობდა თავისთვის გულში და სიხარულით ახოებული სა-
ხით შესცქეროდა.

უცხად მისი თვალები ერთ სახეს დახივრდა. გაკვირვებამ
მოიცივა იგი: მან დაინახა ნიკო. ისიც ავტომობილში იჯდა,
მასაც ზატარა ბაიზალი ეჭირა და ბაიზალი იყო წითელი, ლა-
მასი, ფრიადი, მშვენიერი.

გული აუტოკდა: თავისი ნაცნობი ნახა. ის სომ მისი
ამხანაგიც იყო. რამდენჯერ უთამაშნიათ ერთად ცხენობანა, რამ-
დენჯერ წასულან ერთად სასეირნოდ ბაღებში, ნავსადგურზე,
რა ვუყოთ, რომ ის წლოვანებით ცოტა უფრო დიდი იყო,
მასთან სომ უთამაშია! ასე ფიქრობდა სერგო და მოეხატრა
მასაც ავტომობილში მასთან ეოყნა.

გული წუერულით აქვსო.

დაუწყო ზატარა ხელების ქევა; დაუწყო მახილი:

— ნიკო, ნიკო!.. წამიევა, მეც წამიევა. მეც მინდა შენ-
თან ვიყო, შენთან ერთად, ავტომობილში. მეც მომეცი ზატა-
რა ბაიზალი; მომე, მომე, ავაფრიადლებ... მაგრამ ეს ნიკოს არ
ესმოდა, ის შორს იყო. სერგოს გული ეტკინა, სურვილი არ
უსრულდებოდა, თითქმის ტირილიც კი უნდოდა.

ხალხი კი განავრობდა სიმღერას, სმაურს, კვირილს...

* * *

შორს, ქალაქის კანეთ, სროდა დაიწყო...

ტყუილისმურქევევლთა კაკანი სიურცეს აურუებდა. დროვა-
მოძუებით უმბბბა სკლებოდა,

საღსი ბირია...

ბრძოლა დაიწყო, ბრძოლა...

25 ოქტომბრის ჩაქრობა უნდათ...

აი, ამ საღსის ჩაქრობა. ქუჩაში რომ ზღვასავით დადის, დროშები რომ დააქვს, ღარიბების, ჩაგრულების შველა რომ უნდა. ესენი თვითონ ჩაგრულები არიან, თორემ ტყვიების დროს გარეთ არ გამოვიდოდნენ.

კიდევ ამიტომ მღერიან ასეა სიმღერას...

ეს ბუშებისა და გლეხების სიმღერაა.

ამიტომ მღერიან, რომ გაიმარჯვონ...



სურგომ მოასწრო თავის შეფარება.

აი, ასეა უკვე ბრძოლა დაიწყო. ვიღაცეები მოვიდნენ, რომ დაამარცხოთ ესენი. ისინი კარგად ჩაცმულები არიან, არ ატარებენ გაბურულ საღათებს და წითელ დროშებს. მათ



ფულიც ბევრი აქვთ. ოქროს ბეჭდები, საათები, ვეკლაფერი ოქროსი აქვთ...

და ხალხი ღიძვალა...

სროლის სიმე ვეკლა გამოაცოცხლა.

სერგო კი შეერთა. ის სომ ზატარაა, ძლიერ ზატარა. მას არ შეეძლო ბრძოლა, იარაღის სმარება.

ის ესოში შევარდა, კიბეზე ჩამოჯდა.

და ესმოდა გარედან ხმები, ვეირილი, თვალწინ კი წარმოდგენილი ჰქონდა მთელი სურათი.



სერგო შირბის შირისაკენ.

თანდათან მიწვდა ატყვინილი განგამი და ქალაქიც გაუჩნდა. აქაიქ დანბოდა თითო-ორიოდა კაცი.

სერგომ ესოდან თავი გამოტყუო. მოედანსე არაუინ არ იყო.

გაიბრინა მარდად მინისაკენ, უნდა მალე მივიდეს დედასთან და უამბოს ვეკლაფერი, გა-

დასცეს ვეკლა ის, რაც მან ნახა.

შირბის, შირბის და შორიდანვე სედავს, რომ ქუხაში რადაც შავი ძეგს. უცქერის, მაგრამ ვერ არკვევს...

უახლოვდება, თანდათან არკვევს. სედავს, ადამიანია. მოსინანს ფეხები, ხელები, თავი და უკვირს, რომ შირს გდია. როდესაც მიუახლოვდა, ნიკო აღმოჩნდა.

— ნიკო, ნიკო, აქ რა გინდა?.. აქ რათა წვეხარ?.. ადექი, ადექი, — წაჭკობ სელი სერგომ.

ნიკომ თავი ოდნავ შეანძრია, მიიხედ-მოიხედა, ძლივს ამოიღო ხმა:



ნიკო, ნიკო, აქ რა გინდა?

— შენა ხარ, სერგო!.. მოდი, მიშველე, დამეხმარე, შინ წამიყვანე. აი, ფეხში ტყვია მოძხვდა, დაჭრილი ვარ... თანაც უხვეხა დასისხლიანებული ფეხი, რომელსაც ვერ ამომრავებდა.

— წაგიყვან, მამ, წაგიყვან, — უნასუნა სერგომ და დაეხმარა ფეხზე აძღვარიყო.. მერე მხარში ამოუდგა და შინისკენ ვაუდგენ. გზაში ეკითხებოდა:

— რით დაიჭერი, ნიკო, რათ გეხროლეს ტყვია?..

ნიკომ ეკლმოღერებით გადაჭხვდა სერგოს და უთხრა: კარგად დაიხსამე, რომ დღეს 25 ოქტომბერია. წითელი დრომა სომ გინახავს? ის მუშების და კლეხებისა არის, ხვენი ძამებიც სომ მუშები არიან, აი, სწორედ ის დროშები ავა-

ოთხი თაობა.

მე შეავს უფროსი ძმა ჯარისკაცი...
მშრომელ ხალხისთვის დანდებს ის თავსა...
თან დატარებს რევოლუციის
უკვდავ კმბლემს—წითელ ვარსკვლავს!

მასზე უძროსი მეორე ძმა-კი
არის ნამდვილი კომკავშირელი,
ის მამაცია და გულზე აკის
აკრავს ნიშანი კოსტა, წითელი...

ჩემზე უფროსი და, ცქვიტი თინა,
ზიონურებში რომ ჩაეწერა,
მოირთო წითელ ველძოხსანვევით,
სწავლობს და შრომობს, უუვარს სიძღვრ!

მე-კი ვეკლასე უძროსი ძმა ვარ,
იქვე საბავშო ბაღში დავდივარ...
ოქტომბრელების რიგებში ვდგავარ,
გაკვეთილს სწავებზე უკეთ ვავდივარ!

ჩემი ნიშანი რომ დავიკიდე,
თითქოს აუმაღლდი და გავიზარდე.
გულთან ვატარებ... ვსწავლობ, ვბეჯითობ,—
მსურს მუშა-კლესებს ვეკლას ვუუვარდე!



(ვაგრძელება).

III

დროგამოშვებით ბილლი ჩემდამი რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენდა, მაგრამ ხშირად ხდებოდა ასეც, რომ ეკვროდა ხანსს და აღარ შორდებოდა მას. რაც შეეხებოდა ხანსს, მას უყვარდა მხოლოდ და მხოლოდ ბილლი და სხვა არაფერი არ მიაჩნდა, სანამ არ მოუყვდა მისი პატარა მეგობარი.

როდესაც დადგა ზაფხული და მოვემზადეთ ლაუნგფებურგში წასასვლელად, ჩემი ცხოველებიც თან წავიყვანე, რადგან არ მინდოდა ისინი დამეტოვებია რომში მოსამსახურისათვის და ჩავსვი ისინი თავიანთ გალიაში და ისე წავიყვანე. ხანსი ჩვეულებისამებრ არ ურიგდებოდა კარჩაკეტილ ყოფნას და უცდიდა შემთხვევას, რომ ვინმეს ოთახის კარი ღია დარჩენოდა და ენავარდა სხვა ოთახებშიაც. უცნობ ხალხს ყოველთვის გაურბოდა. ბილლი, პირიქით, არ ეტრაფოდა თავისუფლებას. როდესაც ერთხელ წავიყვანე ტყეში, სადაც ის დაიბადა, გავუშვი თავისუფლად, მან გაირბინა და მალე დაიპირუნდა მე და ჩაძვრა ჯიბეში, თითქოს ჯიბე იყო მისი მშობლიური ბუდე. სამაგიეროდ ხანსის მისწრაფება წებებრობისაკენ ძლიერ მაღელვებდა, მას უყვარდა აცოცება ფანჯარაზე, დაჯდებოდა და დიდხანს გატაცებით უცქერდა მდინარე რეინის ხმაურს და ზხარამზარ ფიჭვის ტყეებს, მთელი საათობით იდგა ფანჯარასთან ერთი თათით მიბჯენილი მინაზე და მეორეთი დაკავებული ჰქონდა თავისი გული. მისი ბრწყინვალე შავი თვალები ხარბად უცქერდა ფანჯრის მეორე ნაპირის ცხოვრებას და გამოხატავდა თავის მოუთმენლობას. ეს მე ძლიერ მაღელვებდა.

რომ ჩემთვის შესაძლებელი ყოფილიყო სადმე ისეთი ბალის აღმოჩენა, სადაც სოფლის ბიჭები არ დაუწყებენ დევნას და თავისუფლად შეეძლებოდა ნავარდი, მე სიამოვნებით გავუშვებდი ამ ბალში ჩემს ხანსს.

მე არ მიგრძენია ისე მწვავედ ცხოველთა პატიშრობა, როგორც ეხლა და ამით ორთავე ვიტანჯებოდით, მეც და ხანსიც. ჩემს ოჯახობას ხანსი უფრო უყვარდა, ვიდრე მისი აშხანავი. და ეხლაც, როდესაც მათი სიციცხლე გათავდა და დაუბრუნდნ მშობლიურ მიწას, მე არ დამავიწყდება პატარა თრითინას ვნებიანი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, მაგრამ ამ რეინის ქვეყანაში არსებობს ბარბაროსული წესი, უღმობელი ნადირობა თრითინებზე და მათი ამოხოცვა განურჩევლად, ასე რომ გასაკვირია, რომ შვარცვალდში კიდევ არსებობენ თრითინები. ეს ნადირობა წლიდან წლამდე გრძელდება და მას ხსნიან იმით, რომ თრითინები ღრღნიან ფიქვის მწვერვალებს და ხელს უშლიან მის გაზრდას. მე თვითონ ვათვალიერებდი თრითინების მიერ დაზიანებულ ხეებს, მაგრამ ვერსად, ვერსად, ვერ აღმოვაჩინე თრითინის მიერ დაღრღნილი ხეები. შეიძლება შვარცვალდის მცხოვრებნი მართალნიც იყვნენ, მაგრამ ეს მოსაზრება ძალიან მკირვია, რომ ასე მხეცურად გაანადგურონ ცხოველები, რომლებიც მთავარ საზრდოს შეადგენს თხილი და სხვა ნაყოფი მცენარეთა სამეფოსი. ხანს და ბილლის ძლიერ უყვარდათ გამხმარი ყვავილის და ტაბუცუნის



ფოთოლი, მათ უმთავრეს საზრდოს შეადგენდა თხილი და იშვიათად სხვა ხილეულობა. ტკბილი იყო ეს დღეები, რომელიც მე ვავტარე ჩემს მეგობრებთან ერთად ლაუნგფერბურგში. ახლა კრძალვით მაგონდება ჩემი ბავშობა. როდესაც მე ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, მე თითონ ძლიერ მიყვარდა თრითინებზე ნადირობა და შეუბრალებლად ვხოცავდი მათ.

რომში ცხოვრება და ჩემი საზაფხულო არდადეგები ლაუნგფერბურგში შეუმჩნევლად აჩენდა დიდს ჩემი პატარა მეგობრების ჯანმრთელობას. ჩემი უფიცობა თრითინების ცხოვრების პირობების შესახებ მარცხით დამთავრდა. ბილლი თანდათან გახდა და დაუძლიურდა. ის მეტად და მეტად მიმეგობრდებოდა, სრულიად მიანება თავი ცოცვას, ხტუნვას და თამაშს, სჩანდა, რომ არაბუნებრივმა ცხოვრებამ მას დაასვა თავისი და--

ლი, როგორც ეს ხშირად ემართება ადამიანს. ბილლის სიცოცხლე კანდელივით ჩაქრა, ის არ იმჩნევდა ტანჯვას, მაგრამ ხშირად ეძინა, ხშირად მოცოცდებოდა ჩემთან, დამიწყებდა ხელების ლოკვას, როგორც ძაღლი, და ემჩნეოდა დამშვიდება. დადგა კაკლის მოსავალი და ორივე შეგობრები გამოცოცხლდნენ. მე ვცდილობდი მომეტანა მათთვის რაც შეიძლება ბლომად ხილეთული, რომ ამით მიინც შესიამოვნებინა. რადგან თვით ვგრძნობდი დამნაშავეთ თავს მათ ტყვეობაში, რაც შემეძლო ვცდილობდი, რომ ისინი ყოფილიყვნენ ბედნიერები.

მალე ჩვენ რომში, დავბრუნდით. იქ ბილლი, თანდათან დასუსტდა და ვამჩნევდი, რომ მისი სიცოცხლე ჰქრებოდა. ის მთლად დაზანტდა და დასუსტდა, იწვა ერთ გვერდზე და იყურებოდა თავისი დიდრონი შავი თვალებით ისე დაღვრემილი და მოწყენილი, რომ ძალაუნებურად ვარიდებდი თვალს. როგორც შემდეგ გავიგე, ბილლის სისხლი მოსწამლოდა. უკანასკნელ ღამეს ბილლი მუხლებზე მიჯდა. მოხვია თათები ჩემს ხელს და დროგამოშვებით მილოკავდა. დილას წავეყვანე ჩირგვენარში მხეზე ვასათობად, მაგრამ ცოტა ხანს წამოწვა ბალახში და მალე მანიშნა, რომ წამეყვანა სახლში.

მეორე დილას ბილლი უკვე მკვდარი დამიხვდა.

ის იჯდა თავის ბუდეში და თითქოს პირს იბანდა: უკანა თათებზე დამჯდარიყო და წინა თათები აეწია ზევით. უკანასკნელ დღემდე ის იბანდა თავის ცხვირ-პირს თათებით. დავინახე თუ არა ჩემი ბილლი მკვდარი, როგორც ბავში ავტირდი, ის იყო ჩემთვის არა მარტო თავშესაქცევი ცხოველი დასვენებისას და მით უფრო ავადმყოფობის დროს, არამედ მან დამაინტერესა უტყვე ცხოველთა ცხოვრებით და შემაყვარა ისინი. თავისი ცხოვრებით და სიკვდილით ბილლიმ დამანახვა ცხოველთა ცხოვრების იღუმალი მხარე, რომლის შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა მისი სიცოცხლის პატარა ისტორიამ იმდენი შემასწავლა, რამდენსაც წიგნებიდან ვერ ამოვიკითხავდი.

როდესაც ჩემი ბილლი ჩავაწვინებუდეში, მივიდა ხანსი და გაკვირვებით შეჩერდა მის წინაშე, თითქოს მიხვდა, რომ მის ირგვლივ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა.

იგი მოუწვა ბილლის გვერდით და ცდილობდა როგორმე გაეთბო მისი გაცივებული სხეული და დაუწყო ლოკვა. როდესაც დარწმუნდა, რომ ყოველი მისი ცდა ამაო იყო, რომ ის ვერ გამოაცოცხლა, მიიმალა ოთახის კუთხეში და ვერაფრით ვერ ჩავაწვინე მათთვის საერთო ბუდეში. არც სჭამდა, არც სვამდა. საჭმელს ზურგს აქცევდა.

მაშინ ხანსი გავიყვანე გაშლილ აივანზე, სადაც არასდროს არ მი-
 მყავდა, რათა არ გაქცეულიყო, და მიეუშვი თავის ნებაზე. ვაიარ-გამოი-
 არა აივანზე. თითქოს გაოცებული იყო მოულოდნელი თავისუფლებით, მი-
 იხედ-მოიხედა ირგვლივ და დაბრუნდა ჩემთან, ჩამიძვრა ჯიბეში, სა-
 დაც უყვარდა ჩაძკრომა ბილლის. მის სიციცხლეში ხანსი არ ეკარე-
 ბოდა ამ ჯიბეს. სჩანდა, რომ ხანსი სრულიად გამოიცვალა, იგი შეუ-
 რიგდა კარჩაკეტილ ცხოვრებას და შეიქნა მშვიდი და წყნარი. სადაც
 წავიდოდე, ხანსი თან დამყავდა და არასდროს არ ცდილა ჩემგან გაქ-
 ცეულიყო. ხდებოდა ისეც, რომ



ტყეში სეირნობის დროს აცოც-
 დებოდა ხეზე, მაგრამ კვლავ მალე
 დამიბრუნდებოდა. ძლიერ უყვარ-
 და, როცა ალერსით ზურგზე
 გადავუსვავდი ხოლმე ხელს. ის
 ყოველთვის ძლიერ საყვარელი იყო
 ჩემი ოჯახობისათვის, რომელიც
 მის მუდამ ეფერებოდა, მაგრამ
 ხანსი გაურბოდა, დაიწყებდა ბუტ-
 ბუტს, ჩაიმალებოდა ტომარაში

ფარდებს შორის. ჩემთან იყო არაჩვეულებრივ ალერსიანი, თითქოს
 უნდოდა ბილლის მაგივრობა გაეწია. მინდოდა მისთვის ამხანაგი
 მეშოენა და ამ მიზნით ვავზახე კაცი ტურინში. მომიყვანეს ხნიერი
 თრითინა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდა. ხანსი ისევე დარჩა
 ობლიად, აცოცდებოდა ჩემს საწერ მაგიდაზე და, როგორც ბილი, მი-
 ქნევდა თავს, როდესაც უნდოდა დამეძინებინა. ერთხელ საღამოთი გვიან
 დაებრუნდი, ვეძებე ხანსი და ვერ ვიპოვე. მთელი ოჯახი ფეხზე დადგა,
 მაგრამ მაინც ვერ ვიპოვეთ. ბოლოს, როგორც იყო, ვიპოვეთ: ჩემს სა-
 წერ მაგიდასთან მდგომი სკამის ქვეშ იყო და უყდიდა ჩემს დაბრუნებას.

საყვარელი ხანსიც მალე მომიკვდა. უკანა თათები თანდათან დაუ-
 სუსტდა, მიზეზი ვერ გამოვარკვეე. შეიძლება ბილლის სიკვდილს ჯავ-
 რობდა ან-და, ძლიერ უყვარდა მალლობზე აცოცება და იქიდან ვად-
 მოვარდა. მოძრაობა უჭირდა, მაგრამ თვალები ნათელი და ბრწყინვალე
 ჰქონდა და წინა თათებსაც კარგად ხმარობდა. მისი ჩემდამი სიყვარული
 თანდათან მტკიცდებოდა. დადგა არდადეგება და ისევე წავიყვანე შვარ-
 ცვალდში. ვფიქრობდი, ის ჩუმი დამოკიდებულება, რომელიც არსებობ-

და მასა და ტყეს შორის, გამოაფხიზლებდა მას, მაგრამ ეს არ გამართლდა, დღითიდღე ის სუსტდებოდა. ხანდახან ისე აწუწუნდებოდა, თითქოს რაღაც სტკივთაო, მაგრამ ისევე მალე დამშვიდდებოდა და ჩამიძვრებოდა ჯიბეში. უყვარდა, როდესაც ხელში მეკავა, ლოკავდა ჩემს ხელებს. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ხანსი უფრო თავშეკავებული იყო, ვიდრე ბილლი. დაჯდებოდა ფანჯარაზე და გასცქეროდა ბუნების სილამაზეს; მის თვალეში სჩანდა ძველებური სიცოცხლის ნაპერწკლები. უყვარდა, როდესაც ხელით დამყავდა მინდვრად ან ტყეში. მაშინ ის დაწყნარდებოდა და სჩანდა, რომ თავს ბედნიერად ჰგრძნობოდა. ჩემი ოჯახობა რომიდან უგზავნიდა გამხმარ ვარდის ფოთლებს, რაც მას ძლიერ უყვარდა. უკანასკნელ ხანებში ხანსი თითქმის არ ამოდებოდა ჩემი ჯიბიდან. ღამით იძინებდა ჩემს ხელზე, მხოლოდ იმ დღეს, როდესაც მოკვდა, სჩანდა, რომ ჰგრძნობდა დიდ ტკივილებს. მაშინ ვაძლევდი ქლოროფორმს სასუნებლად და ამით წყნარდებოდა. ბოლოს შევნიშნე, რომ აღარ მოძრაობდა, დავადე ხელი მის პაწაწინა გულს, რომელიც უკვე აღარ მუშაობდა, დავსაფლავე მის მშობლიურ ტყეში—ამოვთხარე საფლავი ჯავარიანი კლდის ქვეშ ბილლიზე მეტი იცხოვრა ექვსი თვე და მწარედ დავტიროდი მას. მე მაწუხებდა ის აზრი, რომ წაეართვი მას თავისუფლება. შეიძლება ეს ტყვეობა ჩემს ხელში იყო მიზეზი მისი უდროო სიკვდილისა. მასთან ჩემს თავს ვგრძნობდი ბედნიერად, რომ მე ვცნობდი და მიყვარდნ მთელი იარი წლის განმავლობაში ჩემი პაწია მგვობრები—ბილლი და ხანსი.

თარგმ. ქეთო თევზაძია.





ოქტობრელი.

ჩვენ ვართ მარდი,
შვირცხლი, ცქიტები,—
რეკლუციის
მარგალიტები!

სიცოცხლის წუბროს
რომ ვართ მფრქვევლები,
მიტომ დაკვარქვეს
ოქტომბრელები!

დღეს ჩვენი ძმები, ზიონერები,
წინ მიგვიძღვიან
ძვლავმოღვრებით.

ღრმად გვწამს კომუნის
ჩვენ სიძლიერე,
გვიუვარს მუშათა
კლასი ძლიერი!

ვართ ზატარები,
ზატარა გულით,
იღინის ჩაკუნჩა
ჩვენ სიუვარული...

კომუნის სული,
მშვენებით სავსე,
მთელ ჩვენს სსეულში
ღრმად მოვითავსეთ.

მთელი შეგნებით
რიგებში ვდგებით,
აღარ დაგტოვებთ
აწ მარტოხელას...

უფროსებს გვერდით
ამოვიდგებით,—
ზიონერებში

კადავალთ ვეკლას!



დიდი ღათვი.

ღიზა—ნ წლისა.

ვასო —8 წლისა, ოქტომბრელი.

პეტო —ზიონური.

ს ც ე ნ ა I.

ღიზიკო. მითხარი, ვასო, რა ნახე გუშინ სამხეცეში?

ვასო. ტყუილად თუ მაცოდები, არაფერს არ ვაპოვე.

ღიზიკო. რატომ არ შეტყუე?

ვასო. იმიტომ, რომ შე შენი ტოლი არ ვარ. ვაიბო, შე ახლა ოქტომბრელი ვარ და შენ კი არაფერი!

ღიზიკო. მერე რა, რომ ოქტომბრელი ხარ? შიამბე, რა!

ვასო. არაფერს არ ვიპოვებ, შე შშიძარა, შენა! მაშინვე აბღრიალდები. გუშინ რომ თავი დაინახე და ერთი წიაკობა ასტეხე, შენ არ იფავი?

ღიზა. არა, ახლა არ აუუვირდები.

ვასო. რო აჭეივლდე?

ღიზა. არა, არა.

ვასო. მამ ვატყვი, უური მიგდე: გუშინ, ჩვენ რომ სამხეცეს ვათვალიერებდით, გალიიდან ერთი დიდი ღათვი გამოგვცათ.

ღიზა (შეშინდება). უიძე!!

ვასო. აჭა, შეგეშინდა?

ღიზიკო. მერე, მერე?

ვასო. გამოექცათ და ახლა ქუჩებში დარბის.

ლიზიკო. მერე არ დაიჭირეს?

ვასო. ვერ დაიჭირეს. ამბობენ, ახლა ჩვენ კარ-მიდამოში დარბისო. მენ გინჩვენთან ვარეთ არ გამოხვიდე.

ლიზიკო. სტუი!

ვასო. არა ვტუი, არა. თუ არა გჯერა, აგერ ზეტო მოდის და ჰკითხე, ის რომ არ იტუებს, ის ზიონურია (გაჰქოფს ფანჯარაში თავს) ზეტო! (კულისებიდან) რა გინდა?

ვასო. ამოვიდა დიდი დათვი? (კულისებიდან ისმის სმა) ამოვიდა, აგერ სად არის.

ვასო. ახლა, ვტუი? რომ გავიგონე, ზეტომ რა სთქვა. აბა, დაიძლე ჩქარა, დათვა ან შეგკამოს.

ლიზა. სად დაუძლო, სად? (ლიზიკო დარბის ოთახში).

ვასო. აგერ, კარადში შეძვერ, მე კარებს შავრა ჩავკეტავ და დათვი მერ მოგაგნებს.

ლიზა (ტირის). დედა მინდა, დედა!

ვასო. რა დროს ტირილია, ჩქარა შეძვერი, თორემ დათვი მოგასწრებს.

(ლიზიკო მერება კარადში, ვასო სურავს კარებს, დარბის სცენაზე და სუბად იცინის) რა სეირია! გადის.

ს ც ე ნ ა ი I.

შემოდის პიონერი პეტო.

პეტო. არაუინ არ არის. სად წასულან? ვასო, ლიზიკო!..

ლიზიკო (კარადიდან). რა გინდა, პეტო, მე აქა ვარ.


პეტო. მანდ რას შეძვერალხარ? გამოიდი.

ლიზიკო. ვერ გამოვალ, შეშინია.

როგორ ასწავენ ქარხანაში პურს.

მანქანით პურის ცხობა.

იქ, სადაც ბევრი ხალხია, ხელით ცომის მოხელა და
 შემთ გასურებულ ღუმელში გამოცხობა შეუძლებელია, რად-
 გან ცომს ისე ვერ მოხელ, რომ დახელვა არ დააკლდეს და
 ისე ვერ გაასურებ შემთ ფუნეს, რომ ან ხელი არ მოვი-
 ვიდეს ან ცხელი, ვერც კარგად გამოსწმენდ, რომ ჰურის ძირი
 სუფთა იყოს უოკელთვის. ამის გამო მცნობელნი დაავადმყოფდუ-




ს ა ც ხ ო ბ ი მ ა ნ ქ ა ნ ა .

ბიან ხოლმე. მათ უფრო თვალები უფუჭდებათ, ცომის ხელვის
 დროს ოფლიანდებიან, ციულებიან და სხვადასხვა ავადმყოფობა
 უწნდებათ. არც შეიძლება ისე სუფთად მოხილონ: მომსველი ან
 ხელს ვერ დაიბანს კარგად, ან ჰირს. ამიტომ ნასწავლი ხალ-
 ხი სულ ფიქრობდა, გამოეკონათ ისეთი რამ, რომ ეს მძიმე
 პრობა შეეძსუბუქებიათ. იუო ცდები მე-XIX საუკუნეში, რომ

ეს შრომა მანქანით შეეცვალათ, მაგრამ მხოლოდ მე-XX საუკუნეში გახდა შესაძლებელი უფრო ფართოდ კავრცელებულიყო ჰურის მოსახლეი მანქანა.

მოსახლეი მანქანას აქვს ორი სვიშირა, სადაც არის მოთავსებული წეხლი და ფქვილი, შიკ არის ორი ჯოხი, რომელიც დიდი სიჩქარით ტრიალებს და ხელს ცოქს. შემდეგ ცოქი დასაგუნდავებელ მანქანაში გადადის, რომელიც ისეთი სისწორით აგუნდავებს, რომ სულ ერთი სიძიძის და თანატოლი გუნდები გამოჰყავს. ფურნეს ასურებენ ორთქლით, რომელიც ცალკე ქვაბიდან მიღებით მოდის. აქ ფურნის წინ არის რელსებზე დადგმული ჯაგვა, რასედაც არის დამსადებელი გუნდები. თვითველ ჯაგვაზე თავსდება 20 ფუთი (300 კილოგრამი) ცოქი, შემოდან უსვავენ წეხლს, რომ დიდი სიცხისკან კანი არ დაუსკდეს, შემდეგ შეგორებენ ფურნეში. ფურნე ისეა მოწყობილი, რომ ორი ჯაგვა შედის. ორი საათის განძველობაში შიკ უნდა იყოს; ერთსადიძვე დროს გამოძცხვარ ჰურს ჯაგვით გამოავორებენ და ცოქიანი ჯაგვა კი შეგორდება, რასაც ნახვით სურათზე. ისე ევარვად და სუფთად გამოცხობას ხვენ ხელით ვერ შეძლებთ, რასაც შესძლებს ეს ჰურს საცხობი მანქანა.



ს ა ხ ე ლ ი მ ა ნ ქ ა ნ ა .



ბავშვების შემოქმედება

ოქტომბრის დღა.

შემოდგომაა. მზე არაჩვეულებრივად ანათებს და ისე დაგვეყურებს ზევიდან, თითქოს დაგვეცინისო: აი, თქვე ზარმაცებო, არც კი რცხვენიათ, გაგიოთენდათ უძვირფასესი დღე, და თქვენ კი ისევ გძინავთო?

ქალაქი სდუმდა. აქა-იქ ისმოდა ბაირალების მიშქვადავთა კაკუნო. უკვე დილის ექვსი საათიდანვე არ სძინავს ვანოს.

— ბიჭოს, მზეც ამოსულა. მგონი დარი არ გვიმტყუნებს!-სთქვა და თვალის დახამხამებაში ჩაიკცვა, ხელ-პირიც დაიბანა და მამას დაუწყა ღვიძება.

— მამიკო! მამიკო! გენაცვალე, გაიღვიძე, — ეუბნებოდა ვანო.

— რამ აგაყენა ასე ადრე?

— მამიკო, შეხედე, — გაალო ვანომ ფანჯარა.

ქუჩებიდან მუსიკის ხმა მოისმოდა. მამა ადგა. მალე მაგიდას მოუსხდნენ. ვანომ აჩქარებით დაუწყა საქმელს ქაში. გაათავა თუ არა საუბრე, უთხრა მშობლებს: „აღდეს სკოლაში წარმოდგენასა ვდგამთ, მე ლექსი უნდა ვთქვა: „ოქტომბრის რევოლუცია“. აი ის ლექსი, მკითხე; თუ შემეცდეს, გამისწორე“.

— კარგი, გენაცვალე, — უპასუხა მამამ.

ვანომ ლექსი კარგად წაიკითხა.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! აბა, შეხ იცი, როგორ მასახელებ, — ეუბნებოდა მამა. ვანოც იღივებოდა, ეხვეოდა მშობლებს და ეუბნებოდა: „დედო-კო! მამიკო! თქვენც მოდით აუცილებლად, ხომ გესმისთ, აუცილებლად! თორმეტი საათისათვის“.

— კეთილი! — უპასუხეს მშობლებმა.

გავიდა ვანო და დაინახა, რომ მთელი ტფილისი გარეთ გამოსულიყო. აეროპლანების ხმაური აყრუებდა დედაშიწის. ხალხი ქუჩებში გამოსულიყო. ზოგი ამბობდა სიტყვას, რომელსაც ტაში მოჰყვებოდა. სიტყვას ასე ათავენდნენ: „გაუმარჯოს ოქტომბერს“, „გაუმარჯოს მუშათა კლასს“ და სხ. და ამ აუარებელ ხალხში ვანოც ერია და სულაც დავიწყებოდა სკოლის დღია, შეკუთრებდა დიადი დღესასწაულის ზემს.



საქართველოს
წიგლისწერეთა
კავშირისთვის

— ვანო! ვანო! — შოისმა ვილაცის ძახილი.

— ანდრო! ანდრო! — უპასუხა ვანომაც, და ორი ამხანაგი შეხვდა ერთმანეთს.

— ვანო, სკოლაში ხომ არ მიდიხარ?

— ჰო, მივდივარ და, მგონი, დამავიანდა კიდევ. წაშო, გავიქცეთ.

— ვაიმე! ხომ ვითხარი, დავვიანებულა მეტი.

ამ ლაპარაკით სკოლის დარბაზში შევიდნენ. მასწავლებელმა მოჰკრა თვალი კანოს და ცოტა არ იყოს წყენით მიმართა: „არა გრცხვენია, საცა შენი ჯერიც მოაწევს და შენ კი დარბაზში არა ხარ“.

— მაპატიეთ, მასწავლებელო, ქუჩაში დღესასწაულს შევრჩი.

— კარგი, კარგი, წადი, დაჯექი და ელოდე შენს ჯერს.

სცენაზე პიესის უკანასკნელი მოქმედება მიდიოდა. პიესის გარდა ბევრმა წარმოსთქვა ლექსები, ბავშთა გუნდმაც იმღერა სხვადასხვა რევოლუციონური სიმღერები, რომლებსაც ხალხი პირდაპირ ალტაცებაში მოჰყავდა. ტაში და „ვაშა“ აყრუებდა იქაურობას. ბოლოს ვანოს ჯერიც მოვიდა. გამოვიდა თუ არა სცენაზე, ღელვა და კანკალი დაიწყო. განაბული ხალხი თვალეებში მისჩერებოდა. ვანო ხალხს თვალს ვერ უსწორებდა, განსაკუთრებით თავის მშობლებს, რომლებიც მისჩერებოდნენ. ვანომ მოიკრიბა ძალ-ღონე და რიხიანად დაიწყო ლექსი, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო:

კენესოდა ხალხი — და ამ კენესით იგი ტკებოდა,
ჯალით-მტარვალი დაჩაგრულთა სისხლით თვრებოდა:
უწყალო ბრქალთ ქვეშ განაწამებს სული ძვრებოდა,
მაგრამ კი იგი თვისას იქმნდა, ვერა ძღებოდა.

ბნელოდა ირგვლივ, — და ისმოდა ეშმაკთ ხარხარი,
სამარე ჩაგრულს მისი ხელით ჰქონდა სათხარი,
მოსთქვამდა ხალხი და ამბობდა: „ნუთუ აქ არი
ეს ჩენი ბედი? როს გველირსოს დრო გასახარი!“

გულს არ იტებდა დაჩაგრული, შევლას ელოდა,
მაგრამ სულ ტყვილად და ამაოდ: ირგვლივ ბნელოდა,
და ხალხს „ვიშველე, შეგვიბრალე“ ვერას შევლოდა.
ბულბულთა ნაცვლად შესახარი ხმები მღეროდა.

აერდა ქარი, მოთმინებამ გაჰხეთქა ზღუდე,
 ფერფლად აქცია შურის ცეცხლმა მტარვალთა ბუდე,
 და ძველი ხანა უსამართლო, ორგული, მროდე,
 სულს ლაფავს, რადგან ხმლით წარკვეთეს თავის საქუდე.

ხარობდა ხალხი, ძველი ხანა ჯაერით კვდებოდა.
 მაშვრალთა ერი ოქტომბერის ცქერით სტკებოდა,
 და ჩაგრულთა ხმებს მებრძოლთა ხმა ბანად ჰყვებოდა.
 ყვავ-ყორნის ნაცვლად ხმატკბილ ბულბულთ გუნდი მღეროდა.

გათავა თუ არა, ისეთი ტაში და ვაშის ძახილი მოისმა, რომ ყვე-
 ლის თითი ყურებისკენ მიჰქონდა. ვანო ჩამოვიდა სცენიდან, მასწავლე-
 ბლები „ყოჩაღ“-ს ეუბნებოდნენ. მოწაფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონ-
 და და ყველას მადლობას უხდიდა.

გათავდა დილა. ყველანი დაიშალონ, და ვანომაც თავის მშობლებ-
 ლებთან ერთად სიხარულით გასწია შინისაკენ.

გ. გაბუნია.



თ ა მ ა უ ო ზ ა ნ ი .

ორი უსინათლო.

მოთამაშენი დიდ წრეს აკეთებენ. ორ მოთამაშეს თვალებს აუხვევენ და წრეში ჩააყენებენ. ერთ მათგანს სასტვენს აძლევენ. იგი დადის და უსტვენს, მეორე კი სასტვენის ხმაზე ცდილობს გამოარკვიოს, თუ რა ადგილზე იმყოფება პირველი უსინათლო და მის დაქერას ცდილობს. დაქერის შემდეგ წრეში სხვა ბავშვებს ჩააყენებენ.

მამლების ზიდაობა.

წინამძღოლი აარჩევს ორ ბავშს, რომლებიც მამლებს წარმოადგენენ; დანარჩენები წრეს აკეთებენ, ტაშს შემოჰკრავენ და მღერაიან: „ძიძგი, ძიძგი, მამალა, შენ იცი და მაგანა“... მამლები წრეში ცალფეხა დგებიან, ხელებს გულზე დაიკლობენ და სიმღერის დაწყებისთანავე ერთმანეთს მარჯვენა მხრებით ეჯახებიან. ყოველი დაჯახებით თვითთელი მათგანი ცდილობს მოწინააღმდეგე ორივე ფეხზე დააყენოს. წაგებულთა ის, რომელიც დაჯახების გამო თავს ვერ შეიკავებს და მიწაზე ორივე ფეხით დადგება...

ქილაბხაობა.

უვარგის ან გატეხილ ქილებს მოედანზე დააწყობენ. რამდენი ქილაც იქნება, იმდენსავე მოთამაშეს თვალეებს აუხვევენ, დააყენებენ დაწყობილი ქილების წინ და ხელში ჯოხს მისცემენ.

თვალახვეულები სამჯერ უნდა შემოტრიალდენ ადგილზე, რის შემდეგ უნდა შეჩერდენ და ქილას ჯოხი უნდა დაჰკრან. აღსანიშნავია, რომ ტრიალის დროს ხშირად მოთამაშე ვერ ერკვევა და შეჩერებისას დარწმუნებულია; რომ პირისახე ქილისკენ აქვს, სინამდვილეში კი ქილა მის ზურგს უკან იმყოფება და იგი ჯოხს ტყუილ-უბრალოდ მიწას ურტყავს.

მოგებულთა ის არის, ვინც შემოტრიალების შემდეგ ქილის პირდაპირ შეჩერდება და ჯოხის შემოკვრით მის გატეხას შესძლებს.

1926 წ.

გ ა მ ო ვ ა

საქმასწავლო დასურათებული ქუონალები:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ ყოველ-
თვიური მე-XXII წ.

მოზრდილ. „პიონერი“ ორკვი-
რეული I წ.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ნაკადული“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით—2 მ.
„პიონერი“ — ერთი წლით—5 მ.
ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი { „ნაკადული“ — 35 კაბ.
„პიონერი“ — 25 კაბ.

„წითელი სხივი“ გათავდა მე-9 ნომრით და მის მაგიერ გა-
მოდის „პიონერი“.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კო-
მისარიატი. „ნაკადული“-ს და „პიონერი“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

